ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი მეცხრე.—№ 427

პარასკევი, 14 ივნისს 1874.

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მან., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА".

**ხელის-მოწერა**

თფილისში: გაზეთის „დროების" კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА".

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: ტფილისი, 14 ივნისს 1874 წ.—წვრილი ამბები—„დროების" კორრესპონდენცია: ქართლიდგან—სპარსეთელი ქართველის წერილი—პასუხი მესამე პირისაგან—უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: საფრანგეთი—პარიჟელი ქალი—ნ ა რ ე ვ ი.—განცხადებანი.

# საქართველო

ტფილისი, 14 ივნისს 1874 წ.

424 №-ში ჩვენ გამოვაცხადეთ სურვილი, რომ კარგი იქნება ჩვენში წერა-კითხვის გამვრცელებელი საზოგადოება შესდგებოდეს. ჩვენ ისიც ვსთქვით, რომ ამ საზოგადოებამ მომეტებული ყურადღება უნდა მიაქციოს სახალხო წიგნების და სხვა და სხვა სახელმძღვანელოების გავრცელებას. ეჭვი არ არის, რომ ამ ნაირი საზოგადოება რაც კი შეიძლება უფრო ადრე უნდა შესდგეს, რადგანაც ეს ძრიელ საჭიროა. ხალხი იმისთანა მდგომარეობაშია, რომ ამაზედ უფრო ნათლად ვერას დროს ვერ გამოაცხადებს თავის სურვილს. ყველგან და ყოველთვის გვესმის ჩივილი: „რა ვქმნათ ან რაც არ ვიცით რა უნდა ვასწავლოთ ყმაწვილებს, რა უნდა მივსცეთ საკითხავათ, რა წიგნით ვიხელმძღვანელოთ და სხვ.... ან არა და, რა უყოთ ამ ჩვენს შვილებს, ასე ცუდათ სწავლობენო, ვერც გიმნაზიაში ხეირობენ, ვერც ოჯახში, როცა მასწავლებელს დაუქირავებთ" და სხ.... ამ ცუდ სენს მოვსპობთ, რასაკვირველია, როცა ჩვენს შვილებს წესიერ სწავლას მივსცემთ, ე. ი. როცა ჩვენი ყმაწვილების სწავლა არა უცხო ენაზედ იქნება, უკეთ ვთქვათ, ყმაწვილებს თავდა პირველად უნდა ესმოდეს, რას სწავლობენ, რისთვინ სწავლობენ; სწავლა სასიამოვნო, საყვარელ გონების წრთვნად უნდა გახდეს და არა ამწაქებულ, საზიზღარ საჭამადად. ჩვენც ერთი იმათგანი ვართ, რომელთაც შკოლა ჯოჯოხეთსავით სძულდათ, მასწავლებლის ყოველი სიტყვა აღონებდათ, გულს უკლავდათ, შკოლის დახუთული ჰაერი ყოველს ენერგიას, სიცოცხლეს უხშობდათ. მითხარით ერთი ისრეთი არსება, რომელსაც მისი ყმაწვილობის დრო ბნელს და სამწუხარო სურათს არ წარმოადგენდეს? მაგრამ ეხლა, როგორც ხედავთ, ჩვენი წასრული ძრიელ განშორებულია. რაც მოხდა მოხდა და ეხლა ვინც კი გაიკაფა გზა ამ უდაბურ ტყეში, ტყვილათ რათ უნდა გაეჩერდეთ? ნუ თუ ჩვენი ვალი არ არის, ჩვენს მომავალს რაც შეგვიძლიან უფრო შნო მივცეთ? ხომ ვხედავთ, როგორ დალპა, დამძაღდა ყველა ჩვენი დროს წარმომადგენელი, იმათ აღარც ენერგია აქვთ, აღარც გონების გამჭრიახობა, აღარც ძალა! გადაავლეთ თვალი თუ რას მიედებ-მოედებიან: ზოგი სიპ კლდეს ეპოტინება, ზოგს ხავსზედ დაუბჯენია ფეხი და ფიქრობს იქ გაუმაგრდეს საშინელს წარღვნის გვარ ნიაღვარს. სხვა აღარაფერი დაურჩათ და მოსდგომიან ერთმანეთს: ძმა ძმას უჩივის უშვერი სიტყვისათვის, მამა შვილს ღალატობს, დედაც შვილს იძულებს, დილით საღამომდის სამსაჯულოს კარებს თავს ახეთქენ! მაგრამ საბოლოოთ, როგორც ვხედავთ, სიკვდილის კაცი ვერას დროს ვერ ასცილდება. ძარგი ხანია მეორე დროს მოახლოვება დაჰკრა ნაღარამ, მათთვის დიდი ხანია განსპეტაკებული სუდარები აწყვია აკლდამაში, და თუ კიდევ უდგიათ სული, რასაკვირველია, ეს იმისთვის რომ ბარემ წრფელი გულით მოინანონ თავისი წასრული. რომელი უსინდისო ახალგაზდა იქნება, რომ ეს სურათი მოიგონოს და კიდევ ხელდაკრეფილი თათქარიძესავით ბუზებს თვლა დაუწყოს! არა, ჩვენ იმდენათ იმედ—დაკარგული არა ვართ, რომ ეს ჩვენს ახალგაზდობას მივაწეროთ. მაგრამ საუბედუროთ ნამდვილი ცხოვრება საშინლად დამწუხრებულ დროთ გვეჩვენება, გვეჩვენება მიტომ, რომ ვხედავთ, რაც გვჭირია, რაც უნდა გვქონდეს, რასაც უნდა ველტოდეთ და არ საიდგან არ ჩანს კმაყოფილება. რომ შეიძლებოდეს უწიგნოთ შკოლების დაკეთება, აბა რა საჭირო იქნებოდა წიგნების ბეჭდვა? რომ ახალგაზდობას არ შეეძლოს შრომა, ვინ მოსთხოვდა მას? საქმე იმაშია, რომ უშკოლოთ ხალხის განათლება არ მოხერხდება, შკოლები უწიგნოთ არ წარმოიდგინება, წიგნები არაოდეს არ გვექნება, თუ არ ვიშრომეთ. რაც შეეხება იმას, თუ როგორ არის მოხალისებული ჩვენი ხალხი სწავლაზედ, ფაქტები ამას გვიმტკიცებენ, ამ ერთი წლის განმავალობაში ჩვენს თვალ-წინ ბარე თორმეტი სხვა და სხვა წიგნები დაიბეჭდა, ზოგი სახალხო, ზოგი შკოლების სახელმძღვანელო და ამ წიგნებში ორი სამი გამოცემა სრულებით გაიყიდა, ასე რომ ეხლა ხელმეორედ აპირებენ იმ წიგნების გამოცემას. ამას გარდა მიიღეთ მხედველობაში, რომ უბრალო ვაჭრები, რომელთაც ფულის მოხვეჭის გარდა არაფერზედ არ მიუწყვდებათ გონება, ბეჭდავენ სხვა და სხვა სახელმძღვანელო წიგნებს; წინასიტყვაობაში ზოგიერთი კიდევაც ბეჯითად ამბობს, რომ მისი სახელმძღვანელო მალე გაიყიდება და მეორე გამოცემასაც ეღირსება მისი ნაჯღაბნი. ასეთია მაგალითად უფ. ტერ-გაბრიელიანცის „თვით მასწავლებელი რუსული ენისას," უფ. როტინიანცის „ფრანცუზული ენის თვით მასწავლებელი წიგნი", რომელიც ორი წელიწადი არ გასულა მას აქეთ და მეორეჯელ კი გამოიცა. რამდენი სხვა ფაქტებიც მოიძებნება ამის დასამტკიცებელათ. და ეს შემთხვევებია, რომ ჩვენ გვაჩერებს და ვამბობთ ჩვენ ლოდინი აღარ შეგვეფერის და მიუცილებელათ საჭიროა, რომ საზოგადოება შესდგეს!

აბა ერთი ესა სთქვით, რომელი გონიერი თვალი შეხედავს გულ გრილათ ამნაირ წიგნს, როგორც „თვით მასწავლებელი" ტერ-გაბრიელიანცისა? ამაში უნდა დაიკარგოს ჩვენი ხალხის ფულები? მერმე იცით, რომ ამ წიგნის ფასი ექვსი შაურია? განა ასრე დაუსჯელათ უნდა მოატყუილონ ჩვენი ხალხი? გარწმუნებთ, ვინც თვალებ ახვეული შევსცქერით აწმყოს, რომ ამნაირი წიგნები წმინდა საწამლავია ჩვენი ახალ მოსწავლეთათვის, ჩვენ არ უნდა მივსცეთ გზა ამნაირ აფერას და ყველა ღონისძიება უნდა მოვიხმაროთ, რომ ამნაირი შემთხვევა არ გახშირდეს ჩვენში.

წინა სტატიაში ჩვენ მივაქციეთ მკითხველის ყურადღება რუსული გაზეთის „კვირის" სტატიებზედ, რომელშიაც აწერილია შეძლების დაგვარათ, თუ რა ცუდი გავლენა ჰქონდა ვაჭრებისაგან დაბეჭდილ წიგნებს რუსეთში; მაგრამ მაშინ არ გადმოგვითარგმნია ის ალაგი, და ეხლა ვასრულებთ ამას, რადგანაც მრავალმა ჩვენმა მკითხველმა რუსული ენა არ იცის.

„თუ ჩვენ სახალხო წიგნების ბეჭდვას ყურადღებას მივაქცევთ, ძრიელ სამწუხარო მოვლენა წარმოგვიდგება თვალწინ. სრულებით არ გვასიამოვნებს ამოდენა წიგნების რიცხვი. სამწუხაროდ ნახევარზედ მეტი იმგვარი კაცებისგან იბეჭდება, რომელთაც მარტო ვაჭრული ანგარიში აქვთ მხედველობაში, სხვას ისრე არ აქცევენ ყურადღებას, როგორც ფულის მოგებას და უმეცარი ხალხის გაცარცვას. ჯერ სხვა და სხვა 112 გამოცემებისაგან, რომელნიც 800,000 ეგზემპლიარათ დაიბეჭდა, 65 გამოცემა, 650,000 ეგზემპლიარი ვაჭრებს ეკუთვნის. ერთი სიტყვით უნდა გამოვტყდეთ, რომ სპეკულატორებისაგან დაბეჭდილი წიგნები უფრო დიდ ალაგს იჭერენ სახალხო წიგნების მაგაზინებში, ვიდრე სხვები."

„შესამჩნევია კიდევ რომ ფულის მოყვარეებმა პირველადვე მოავლეს ხელი ხალხის მოთხოვნილებას, არსაიდგან არ გამოჩნდა მოწინაამდეგე და ამისათვის არც გასჭირვებიათ, რომ ხალხის გონების წინმძღოლათ გამხდარიყვნენ; ისინი არაფერს არ ერიდებოდენ, არაფრის არ სცხვენოდათ, ოღონდ კი ფულები შეეკრიბათ. სამწუხაროა ჭეშმარიტად, რომ ამისთანა დიდი საქმე, როგორც ხალხის განათლება ამდენს ხანს სრულებით ამათ ხელშია და მოწინაამდეგე კი არსად სჩანს."

აი, ამნაირად მწუხარებს ლიტერატორი რუსეთში, სადაც ათას ჯერ მეტი მშრომელია ვიდრე ჩვენში, ათასჯერ და ათი ათასჯერ მეტი საშუალებაა, სადაც პედაგოგია საკმაოთ შემუშავებულია და სხვ. ჩვენ რა გვეთქმის ამის შემდეგ, ჩვენ რიღასი იმედი უნდა გვქონდეს? ჩვენს თვალ-წინ ასრე აშკარათ გამოდის სხვა და სხვა წიგნები, რასაკვირველია, ვიწრო ინტერესისთვის და ჩვენ კი ამას გულგრილათ და აღუშფოთებლათ შევსცქერით. ამასთანავე მიიღეთ მხედველობაში, რომ ჩვენს შკოლებში სასურველი სწავლის წაყვანა ქართულს სახელმძღვანელო წიგნებზედ არის დამოკიდებული.

N

## წვრილი ამბები

— ოძისის მსესხებ-შემნახველ ამხანაგობას გარდა, კიდევ მალე დაიწყებს ჩვენში ოპერაციებს თიონეთის ამხანაგობა, რომლის დაფუძნება ფინანსთ მინისტერს კიდეც მოუხსენებია მართებელი სენატისთვის.

— ტფილის-ქალაქის ლაზარეთთან პირველის სეკტემბრიდამ იხსნება საფერშლო შკოლა. ვისაც ამ შკოლაში ყმაწვილის გაზრდა სურს, თხოვნა და საჭირო დოკუმენტები თხუთმეტ აგვისტომდის უნდა შეიტანოს.

— კახეთში ძალიან გახშირებულა წვიმები, ასე რომ პური, რომელიც მოსავლის უიმედობით ძლიერ გაძვირებულიყო, ეხლა ისევ გაიაფებულა.

— თელავის საქალებო სასწავლებელზედ თავად აზნაურობა ყოველწლივ ორიათასს მანეთს ხარჯავს და ის კი ვერ მოუხერხებია, რომ სასწავლებელში ქართული ენა ხეირიანად ასწავლებინოს. ამბობენ, რომ იმ სასწავლებლიდან გამოსული ქალები ზოგი ძლივს ლაპარაკობს თურმე ქართულად ჩვენს გარდა ყველას სასირცხვოდ მიაჩნია, რომ ოჯახში მაინც თავის სამშობლო ენაზედ არ ლაპარაკობდნენ.

— სომხურს გაზეთს „მეღუს" სწერენ ახალ-ქალაქიდგან, რომ იქ ერთ ქართველს თავადს თარხან-მოურავს თავისი ნაციხარი სომხების ეკკლესიისათვის შეუწირავს. ეს ჩვენ მოგვაგონებს ერთს მდიდარ მებატონე რუსს, რომელმანაც თავისი ქონება შვეიცარიას სასწავლებლის გასაკეთებლად უანდერძა და ის კი ვერ გაიხსენა, რომ მის საკუთარს სამშობლოს უფრო სჭიროდა ამ გვარი შემწეობა. კუდა ხარი თავისთვის არიყო სხვას ბუზს უგერებდაო, სწორეთ ამ რუსეთელ მებატონეზედ და ჩვენს თარხან-მოურავზედ ითქმება. უფრო რიგიანი არ იქნებოდა, რომ უფ. თარხანოვს საკუთრება ქართული შკოლისათვის შეეწირა, ეკკლესიას სხვა შემოსავალიც ეყოფოდა. და თუ მაინცა და მაინც ეკკლესიაში საუკუნო მოხსენება სურდა, ისევ ჩვენი ეკკლესიისათვის შეეწირა,—ამას არავინ არ დასძრახავდა.

## „დროების" კორრესპონდენცია

ქართლიდგან, (ს. მ).

აგერ შესრულდა მას აქეთ ცხრა წელიწადი, რაც მმართებლობამ სასოფლო სასამართლოები დააწესა ყოველს სოფლის საზოგადოებაში და მისცა წესდების წიგნები, თუ როგორ და რა რიგათ უნდა შეადგინონ მათ სასამართლო და აღმოირჩიონ თავიანთი საზოგადოებიდგან მოსამართლე პირნი, ესე იგი, მამასახლისი, და მისი თანაშემწე, სუდიები და მათი კანდიდატები და ისე აწარმოვონ საქმეები იმავე წესდების წიგნების საფუძველზედ. მაგრამ ეს ჩვენი უ. მამასახლისები და სუდიები ძალიან გოროტით თურმე ხმარულობენ თავიანთს უფლებას და ამისგამო მრავალი საჩივრები სდგება მამასახლისსა და სუდიებზედ, ასე რომ იშვია-

თათ იქმნება, რომ კვირაში ერთხელ საჩივარი არ შევიდეს მათზედ ნაჩალნიკთან. ამას წინეთ ოცდა ერთს წარსულს აპრილისას, სალამოს ხანზედ, იქმნებოდა რვა საათი, ვიდექი ჩემი სადგომის სახლის აივანზედ და შევსცქეროდი გორის ქალაქის გზაზედ მომავალს მგზავრებს.

დავინახე, რომ ამ გზაზედ ერთი ჯარიევით ხალხი მოდის. მეგონა ოსეთის მილიცია შეუკრებიათ მეთქი. მცირედის ხნის უკან მოვიდნენ აქ ჩემის სახლის წინ მახლობლად ეკკლესიის მოედანზედ; მაშინ უფრო გასტერებით დაუწყე მე მათ ყურება. ვნახე, რომ უფრო და უფრო ემატებოდნენ. რავდენისამე ხნის შემდეგ სულ ერთად შეიკრიბნენ ეს მგზავრნი და დაიწყეს ერთმანერთში ჩოჩქოლი ამ მოედანზედ. ზოგი ამბობდა, რომ საბძელში დავზდგეთო, ზოგი იძახდა აი ამ სახლის პატრონს ვსთხოვოთო და ეგებ დაგვაყენოსო. ეს ლაპარაკი რომ შემომესმა, ჩამოვედი აივნიდგან ძირს ამ მოედანზედ და დაუძახე ერთს მათგანს, მინდოდა გამეგო მათი ვინაობა და ამას გარდა თუ რა შემთხვევის გამო შეგროვილიყვნენ ასე ერთბაშათ ამოდენა ხალხი. ეს კაცი რომ წამოვიდა ჩემსკენ, მაშინ სხვათაც ერთბაშათ ითქრიალეს და მოვიდნენ ჩემ წინ და მითხრეს ერთ ხმად „ქრისტე აღდგა, ყმაწვილო!" მაშინვე მეც თავი დაუკარ და მიუგე „ჭეშმარიტად აღზდგა!"

ამათ მე კითხვა აღარ დამაცადეს, რადგანაც ღამდებოდა, ფიცხლავ მთხოვეს: თუ შეიძლებოდეს, ამაღამ ბინა გვიბოძეეითო, გაჭირვებული ხალხი გახლავართო. ამ თხოვნაზედ აღარა ვჰკითხეთრა და უთხარ, შეგიძლიანთ ჩემთან დაბინავდეთ მეთქი და უჩვენე მათ ბინა. რადგანაც უფრო კარგათ შევიტყობდი ამათ შემთხვევას, ნამეტნავათ ამისთვის უფრო მივეცი ჩემთან ღამის განსასვენებელი ბინა.

როდესაც დაბინავდნენ და დაისვენეს ამ გზისგან დამაშვრალთ ხალხთ, მაშინ მეც მივედი მათთან, ავუნთე სანთელი და დავიწყევი მათ შორის ლაპარაკი. აქ რასაკვრეელია ესენიც უფრო გულ-დამშვიდებით მოჰყვნენ თავისი მგზავრობის შემთხვევას. ესენი იყვნენ ცხინვალს ზემოთ სამაჩაბლოს სოფლებიდგან და მიდიოდნენ გორის უეზდის ნაჩალნიკთან. ხოლო მიზეზი მათი მოგზაურობისა იყო იმათი საზოგადოების მამასახლისი, როგორც მიანბო მე ერთმა მათგანმა. როგორც ლაპარაკში შევნიშნე, ეს კაცი ხნითაც და სიტყვითაც პირველი პირი იყო. ბოლოსაც გამოჩნდა, რომ სწორეთ ის იყო მათი მოთავე და წინამძღვარი.

აქ ამან გააჩუმა ყოველი პირნი და თვითონ დაიწყო:

„რადგანაც ჩვენის მოგზაურობის მიზეზი გნებავთ შეიტყოთ, ჩვენც მოგახსენებთ ჩვენს საჩივარს, მაინც ღამე დიდი გახლავთ და დროებასაც გავატარებთ "ჩვენ გახლავართ ორის სოფლის საზოგადოების ხალხნი და ჩვენი მოგზაურობის მიზეზიც ეს არის, რომ ჩვენ გიახლებით გორში ნაჩალნიკთან ჩვენს მამასახლისზედ საჩივლელად; მე ვიცი თქვენ აქ იმას მიბძანებთ, თუ ცუდი და უვარგი'ი იყოვო, რათ ამოირჩიეთო და თუ ამოიოჩიეთო, მაშ რაღათ უჩივითო? განა არა! როდესაც ჩვენის სოფლებიდგან მამასახლისსდა სუდიებს ვირჩევდით მთავრობის განკარგულებით, მე მაშინვე უთხარი ამ ხალხა: ეს უმაღლესი მთავრობის განკარგულება საზოგადოთ ჩვენ დაბალ ხალხთათვის დიდი მოწყალებაა მეთქი. ჩვენი ძველი დიანბეგები და მებატონენი გვტანჯამდნენ აქამომდე საწყალ გლეხებსა, ეხლა, ღვთის მადლით, დიდმა ხელმწიფემ მოიღო ჩვენზედ თვისი წყალობა და განგვათავისუფლა იმათ მონებისაგან და მოგვცა ჩვენი ტოლნი პირნი მოსამართლეებად. ისინიც კი უნდა იქმნენ ჩვენის ამორჩევითა მეთქი. ესეც უნდა გავშინჯოთ რის ნიშანი არის მეთქი? იმას, რომ ჩვენ უფრო კარგათ ვიცით ჩვენს საზოგადოებაში ვინ უფრო სვინიდისიანი კაცია და ვინც მოსამართლობაში სინიდისიანათ მოიქცევა და ხალხს აღარ შეაწუხებს და საჩივარსაც უფრო კარგათ სიმართლით განარჩევს, ვიდრე სხვა ქვეყნიდგან მოსული დიამბეგები მეთქი და ჩვენკი არ გვესმის ჩვენი სასარგებლო საქმე მეთქი. აგრე ეს მესამე ჯერ არის, მთავრობა გვიბრძანებს, რომ აღმოვირჩიოთ მოსამართლე პირნი და აბა რას აპირებთ მეთქი. ეს ორი ხელობა იყვნენ აღმორჩეულნი და სულ იმას ემდურვოდით მეთქი, რომ მამასახლისი ცუდად იქცევა და სუდიები არ გვივარგანან და სულ ქრთამისაკენ უჭირამთ თვალიო. ეხლა მაინც ვეცადნეთ მეთქი და კარგი სინიდისიანი კაცები ამოვარჩიოთ, რომ მასუკან საჩივლელათ არ გაგვიხდეს საქმე და არ ვიძახდეთ, თუ მამასახლისი ბოროტი კაცია და ბოროტათ იქცევა, ქრთამებს იღებს, ქვრივს და ობოლს აწიოკებსო. აი ხომ ხედამთ მეთქი, მთავრობამ ორისა და სამის თვის წინათ გამოგვიცხადათ და გაზეთებშიაც სწერენ, რომ ესადენით და კეთილ საიმედო პირნი აღმოირჩიოთ; აქამდინ თუ ხამათ ვიყავით და არა ვიცოდითრა, ეხლა ხომ ყველამ გავიგეთ, ეხლაც რო კარგათ არ მოვიქცეთ, მაშინ ჩვენ გასაკითხავი ვიქნებით მეთქი. თორემ, თუ საჩივლელათ გავიხადეთ საქმე ჩვენის დაუდევნელობით, მაშინ უეჭველია მთავრობა არ შეგვიბრალებს, და ბრალს ისევ ჩვენ დაგვდებს და საყვედურსაც ჩვენვე მივიღებთ მეთქი და გვეტყვის, თუ რომ მაგისთანა ბოროტი იყო, რათ ამოირჩიეთო, ნუ თუ ვერ იცნობდითო, თქვენი ძმა და მეზობელი იყოვო! ამაზედ რაღა პასუხი უნდა მისცეთ მეთქი.

ვაი შენ მტერის, რაც მე ამათ ამდენი ლაპარაკით ვერა შევაგონერა! საკვირველია ღმერთმანი, ჩვენი გლეხების ამბავი: გაგვიჭირდება, ღრიალს შევიქთ, თუ არა და გავჩუმდებით, იმას კი არა ვჰფიქრობთ, თუ ბოლოს რა მოგვივა. ეხლა მორბიან და მეძახიან, გვიშველე რამეო. აბა რა უშველო, თუ ღმერთი გრწამს! თუმცა კი ძალიან ბოროტათ იქცევა ეს ჩვენი უ. მამასახლისი, მაგრამ ჩემი სინიდისი ისევ მე მატყუვნებს, რას პირით უჩივლო, ჩემი ამორჩეული კი ის არის და.... მაშინ ყველა იმას იძახდა, ეგ ძალიან კაი კაცია, ბატონთან ნამყოფიაო, ყველა კარგათ გაეგებაო და კარგათაც მოიქცევაო. ამ სიტყვებზედ ყველანი დაემოწმნენ. ეხლა არ გაგიწყრეს ღმერთი, ეს იმ მამასახლისებს და მოსამარლეებს არა სჯობდეს; იმათ ემდუროდნენ, მაგრამ ამან უარესი დღე დააყენა: ერთს მეწისქვილეს რომ თავის მამა უცხონებია, იმისი არ იყოს, ამ ჩვენმა მამასახლისმაც ისე გვიყო. მართალია წინათ მყოფნი მამასახლისებიც თუმცა ბოროტათ იქცეოდნენ და არ ასრულებდნენ ისე თავიანთ თანამდებობას, როგორც სასოფლო სასამართლოს წესდების წიგნში სწერია; მაგრამ ამასავით ქვრივსა და ობოლსკი არ აწიოკებდნენ მაინც და კაცის რჩევაც იყურებოდათ. ეს ერთი რაღაც მეტის-მეტი ღვთის გარეგანი შეიქმნა ამ მამასახლისობაში. ამას კაცმა ვერა შეასმინარა. კაცი რომ საჩივლელად მიდიოდეს ხელებში უცქერის, მოაქვს რამე, თუ არაო, თუ არას მისცემ პასუხსაცა არ გაღირსებს, მერე, ცოტასაც ხომ არ გაჯერებს, მინამ ხუთი და ექვსი მანეთი არ იყოს ხელსაც არ მოგიკიდებს, მაშინაც კიდევ მდურებითა. ქვრივსა და ობოლს ხომ სრულებით ყურს არ უგდებს, მაშინვე იმას შემოუტევს, რა მოგიტანიათო, და მორბიხართო? თქვენ არ იცით, ასეა ნათქვამიო: „ცარიელი კოვზი ხახას დახევსო"? არა თქვე მამაცხონებულებო აგილიათ თავები და ცარიელები გამორბიხართო, ასე გგონიათ თქვენ მუქთი იყოს სამართლის მიცემაო და გაზოუძახებს კარში. სულ რომ ცოტა გითხრა და მცირედ ჩავგდო კენჭი კიდევ შეადგენს მისგან აღებული ქრთამები თავათ ორმოცსა, თორემ ოცდა ათი თუმანი ხომ ნამდვილია. ბეჭდის ფულს ხომ ვილა იტყვის, ისიც რომ ვიანგარიშოთ საღ წავა! სხვას ნუ რას იტყვი, სუდიებსაც არ ანებებს უპრავლენიის ბეზედს, რომ რაც გადასწყვიტონ და კოპია მისცენ მოჩივარს დაუბეჭდონ, მანამ მანეთს არ გამოართმევს. აბა რა ხელი აქვს იმას უპრავლენიის ბეჭედთან, სადაც ცხადათ სწერია წესდებაში, რომ სუდიების გადაწყვეტილებაში არ უნდა დაესწრას მამასახლისიო, თუ თვითონაც არ არის ამორჩეული სუდის თანამდებობაშიაცაო, არამც თუ ბეჭედი იმას ჰქონდეს. მაგრამ ერთ ყმაწვილს რომ ჰკითხეს, რა გატირებსო? მასუკან იმან უთხრა „გამიდისო და ვტირიო" იმისი არ იყოს ესეც ისე ჩადის, რომ მთქმელი აღარა ვინა ჰყვანდა და როგორც უნდა ისე ხმარულობს თავის უფლებას. მეც გაჯავრებული ყური აღარ უგდევი, რაკი ამორჩევის დროს არა დამიჯერესრა. მაგრამ, რო აღარა მომისვენეს რა, ამაზედ არის ნათქვამი „მეტის-მეტი ოჰო ხარს გააგიჟებსო" იმისი არ იყოს, რომ შემაწუხეს მეტის-მეტათ, ავდექი და წამოვასხი ეს ორი სოფლის ხალხი და მივდივარ ქ. გორში, რომ ნაჩალნიკს მოვახსენო; იქნება გვიშველოს რამე და გამოცვალოს, რომ ამაზედ მეტათ აღარ აღამღეროს ჩვენი სოფლების საზოგადოება. რა ვიცით ყოველთვის კაცი ერთ გულსა და ფიქრზედ ხომ არ იქნება, იქმნება, რა გულზედ შეხვდეს ვინმე და ერთი უზრდელობა ან თავის თავს მისცეს და ან იმას და ცოდვისა ეკითხოსთ, მისთვის მეტი ღონე არ არის, უნდა ვთქვათ, რომ გაგვაშოროს ამ თანამდებობიდგან. „ამით დაასრულა თავის ზღაპრები მათმა წინამძღვარმა ჩემს შორის.

ამას შემდეგ ხალხს ვახშამი მოერთვა ამ სოფლის მცხოვრებლებიდგან. ზოგს ამათგანს ამ სოფელში ნათესავი ჰყოლოდა. მაშინ მეც რასაკვირველია, რაც შემესწრო ისე გაუმასპინძლდი. აქ, როგორც მოგეხსენებათ საქართველოს ჩვეულება, რაკი გოგრა გაუხურდათ ღვინისაგან, შემოსძახეს სიმღერა „არ ვარგა კაცი უმტერო, არც აგრე მტერ მიჩვეული", „ეს სოფელი ასეთია და ყოველთვის ასეც ულია" და „ღმერთო შენ დაგვიმოჩჩილე ჩვენი მტერი და ორგულია"—ამასთან კიდევ განაგრძეს სხვა და სხვა სიმღერანი, ასე რომ ამათმა ნადიმობამ და სიმღერის ხმამ განვლო სამ სათს ნახევარს და შემდეგ დაივახშმეს და გამოიფიცხნენ, ვინც ჩვენგანმა ერთმანეთს პირი უქციოსო, თავიანთის წესით დარისხეს ერთმანეთი წმინდის სახელით, ძილად მისვლის დროს გამომესალმნენ და გავიდნენ იქ სადაც გამზადებული იყო მათთვის ოთახი. შუაღამის შემდეგ ოთხ საათზედ გაიღვიძეს და ქ. გორისაკენ გაემგზავრნენ. მე მოამბე მოხუცს ვსთხოვე რომ ამოვლაზედ ვენახე და შეეტყობინებინა თავიანთი საჩივრის კმაყოფილება. მაგრამ, ჩემდა საუბედუროთ, აღარ მაცნობა, მხოლოდ გარეშეთ შევიტყვევი, რომ ნაჩალნიკს დაუბარებია მამასახლისი და ხალხი კი დაუთხოვნია და უთქვამს, რომ ადგილობრივ უნდა მოხდესო გამოძიება და როდესაც დაწვრილებით შევიტყობ, შემდგომი მაშინ იქმნება.

პ. ქ—ჭ.

---

## სპარსეთელი ქართვლის წერილი.

მე გავიგონე ერთი პატივცემული კაცისაგან, რომ წლევანდელს წელს თავი წაიღო გაზეთებმა, სულ შკოლა და შკოლა, ნეტავი მართალს და სარგებლიანს რასმეზედ ლაპარაკობდენო. ამაზედ დიდი ხანი ვიბაასე ამკაცთან. მე უთხარ, შკოლა ძალიან კარგი არის მეთქი ხალხისათვის, დიდი სარგებლობა მოაქვს, თან თავისუფლებას უმატებს, და თავის ცხოვრებას კარგად წაიყვანს. თუ კაცი სწავლაში კარგად გაიხსნა მეთქი, თითქმის სამშობლოს და ქვეყანასაც სარგებელს მოუტანს, არამც თუ მარტო თავის თავს.

ეჰ, შე დალოცვილო შენ ჯერ არ გაგიცვნია აქაური ხალხიო. მეც კი მაგრე მეგონაო, რომ ვინც ამაებსა სწერს, იმისი სახლობა სულ განათლებული და სწავლაში გახსნილები იქმნებიანო. მაგრამ ეხლა რომ ვხედამ უკანასკნელი მიყრუებულნი თითონ ისინი არიანო. ეხლა რომ მიხვიდე იმათს სახლებში, იმათმა ქალებმა უკანასკნელი ქართული ლაპარაკი არ იციანო, უვარესად იმათმა დებმაო. ეხლა ისინი წამოდგომილან და საზოგადოებას უთითებენ დაბალ ხალხს, როგორ უნდა მოვიქცეთო, თითონ ერთს გროშსაც არ დახარჯვენ საზოგადოებაზე. რამდენსაც ჯამაგირს დიდს იშოვნიან იმდენს ცხოვრებას სხვა და სხვა ნაირად გარდააქცევენ, გამოიბღლანჯებიან მოკლე კურტკებში და ჭრიჭინა წაღებში. მაშინ ისე გაიდიდებენ თავსა თითქმის წინ ველარ მიაქთ და უკანა რჩებათ. რომელთაც საზოგადოების ან ხაზინის ხარჯით რამე უსწავლიათ, ისინი ეხლა ჩასციებიან საზოგადოებას სხვანაირ-გაგლეჯ-გამოგლეჯისათვისათ. აბა გლეხებმა რის იმედით გამართონ შკოლა და რის ხალისით ისწავლონ იმათმა შვილებმა? არც სამსახურში მიიღებენ და არც სამღვდელოებაშიო. რჩებიან კიდევ ისე უბრალოდ როგორც არიან. მიზეზი? თქვენ თავისუფალნი არახართ, უნდა სახელმწიფო ხარჯი აძლიოთ თქვენაო.

ესენი მოკლეთ მოგახსენე ჩემო მკითხველო. ამ სიტყვებმა მე ძალიან დამაფიქრა და ლირსეულად მამაგონა ჩემი სამშობლო სპარსეთი. რისთვის? იქაური ხალხის განთავისუფლებისათვის. ამას გარდა კიდევ იქაური სასწავლებისათვის.

აქაურები სპარსელებს გაუნათლებელ ეძახის,—იქ სპარსეთში კაცს ალრჩობენო. აი როგორ აღრჩობენ. იქაური ხალხი სუყველა თავისუფალია, იქაურს ხარჯს აძლევს მამული. ვისაც კი მამული აქვს, იმისი ხარჯი უნდა გარდიხადოს, გუბერნატორი იქმნება, ვეზირი, თუ ხემწიფე, ანუ დაბალი ხალხი. ამაში თანასწორეა.

ახლა მოგახსენოთ იქაურს შკოლებზედ. სპარსეთის ქალაქებში იმთენი შკოლები არის თითქმის, აქ ბაყლების დუქნები იმდენი არ არის. ბაზრებში, მიყრუებულ ქუჩებში და მეჩიტებში, საითაც გაივლის კაცი, ნახავს მრავალს სასწავლებელს; იმ სასწავლებლებში სუყველანი თავიანთ ხარჯით სწავლობენ და არა საზოგადოების ხარჯით. დილაზედ წავლენ შკოლაში, ისწავლიან და სალამოს შინ წავლენ. შკოლაში ვისი შვილიც იყოს მიიღებენ, უფრო იხათრებენ და კარგად ყურს უგდებენ მადლის გულისთვის.

პირველ შკოლაში ასწავლიან სარწმუნოების აღსნას, და აქ კურს დასრულებულებს მოლებს ეძახიან. აქედამ ვინც კი მოინდომებს მეორე სასწავლებელში გადავა და იქ არაბულს ენას და სხვა საგნებს ისწავლის; იმათ უწოდებენ ახუნდსა. აქვთ კიდევ მესამე სასწავლებელი. ამ შკოლებიდამ არც ერთიდამ შაგირდი არადროს არ გამაირიცხება. ვინც კეთილია თავის თავს არგებს. ვინც ანჩხლია, თავის თავს აწყენს. არც არავინ გაიტანს შკოლიდამ მოწმობას, ოლოდ ახუნდებს მისცემენ ნებას, რომ სიღა იკითხოს, რომელთაც სამართალი წინ აქვთ და არა ზურგთ უკან. იმათი სიღა ის არის, აღებ-მიცემის ქაღალდის დასამტკიცებლად, რომელსაც ისინი ხელს მოაწერენ და თავიანთ ბეჭედს დასმენ, მაშინ დამტკიცდება ისე, როგორც აქაური სუდია. ამაშიაც ხომ არავინ არ დაახრჩეს სპარსელებმა.

ღმერთმანი ძალიან საუცხოვო ქალაქია ეს თფილისის ქალაქი, თუ გამოიგონა რამაფულის მოსაგებლად უცხო ქვეყნის ხალხმა, თუ არა და აქაური არ გამოიგონებს და არც იკადრებს. აქაური ხალხი თუ მაიგონებს, ისეთს რასმეს მაიგონებს ცეკვათამაშისავით, რომელიც შკოლას მხოლოდ დროებით თუ შეეწევა. ეს, ნამდვილია, შკოლას ერთი იმედი უნდა ქონდეს, საიდამაც უნდა შემოდიოდეს გამოულეველად ფულები ყოველ წლივ. თუ კი საზოგადოებას სურს, შკოლა გამართოს, მე მოვახსენებ დროების მკითხველს, თუ რანაირ ადვილად შაიძლება შკოლის გამართვა და იმისი კარგად წაყვანა. ააშენონ ამ ზევით უბანში ერთი სპარსული აბანო. მაშინ თფილისელები ველერ იტყვიან, ჩვენი აბანო კარგი არისო. იმ აბანოს ძალიან ცოტა რომ ვსთქვათ, უკანასკნელი უკანასკნელი ათასი თუმანი იჯარა ექნება. ეს ფულები მოეხმარება შკოლას. ამ ნაირად ძალიან კარგი შკოლა გაიმართება და უზრუნველად იქნება. ამისი სახე თვალწინ გაქვთ: შეხედეთ ჯერ ამ აბანოებში რამთენს იჯარას აძლევენ. თუ რომ ის გაიმართა, უეჭველია, პირველი ის აბანო იქნება, ხარჯიც ძალიან ბევრი არ მოუნდება. ამაზე უკეთესი და უზრუნველი შკოლის სასარგებლო მთელს ქვეყანაზედ არ იპოვება.

ალექსანდრე ონიკაშვილი.

---

## პასუხი მესამე პირისაგან.

ბევრჯელ თქმა სჯობს არა თქმასა.
ბევრჯელ თქმითაც დაშავდება.

—

თხის პატრონს აღარც თხის კუდიო.
(ქართული ანდაზები.)

„დროების 425 ნომერში" დაბეჭდილია უფალი დავით აბდუშელიშვილის პასუხი, მეველესთან და ნიკოლოზ ყიფიანთან. საშინ-

ლათ გამაკვირვა ამ უსაფუძვლო პასუხმა, ნათქვამია „მოყვარეს პირში უძრახე და მტერს პირსუკანაო“. თუ დავით აბდუშელიშვილს ამაზედ მეტი გასამართლებელი საბუთები არ ჰქონდა, ნიკოლოზ ყიფიანის და მეველის გასამტყუნებელი, რატომ გამობძანდა სამუსაიფოთ? თუ თავის გამართლება ინება, მიკვირს უმთავრესი საგნისთვის თავი რათ დაუნებებია და მოჰყოლია მხოლოდ თავის და მის ამხანაგის ლოლუას ქებას! იქნება უფალს დავით აბდუშელს ჩემგან ეს პასუხი ეწყინოს და სთქვას: შენ ვინ გამოგიწვევია პასუხის საგებლათო, მაგრამ მე მაინც ჩემსას ვიტყვი, რადგანაც ნანეიშვილის და ყვინიჭილიას საქმე, ნიკოლოზ ყიფიანზედაც (ვთხოვ უფ. ყიფიანს, ჩემგან ეს თქმა არ ეწყინოს) და უმეტესათ უფალ აბდუშელზედაც კარგათ ვიცი და გაგებული მაქვს. არ ვიცი უფალი ნიკოლოზ ყიფიანი მისცემს რამე პასუხს ამ საგანზედ დავით აბდუშელს თუ არა, მაგრამ მე მაინც მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს, რომ წინაშე მკითხველთა გამოვაშკარაო დაფარული აზრი ამ საქმისა, რომელშიაც ჩემის აზრით ცოტათი უფალი ნიკოლოზ ყიფიანიც ტყუის და რაც შეეხება უფალს დავით აბდუშელს, ამას ხომ თავის თავი და მისი ამხანაგი ამ საქმეში ანგელოზათ და უნგარო პირებათ გამოჰყავს; მაგრამ მე ჩემის მხრით დიალ ეჭვში ვარ (ნეტარ არიან მორწმუნენი) და სწორეთ მოგახსენოთ ძნელი დასაჯერებელიც არის, რომ უფ. აბდუშელიშვილს ნათეიშვილის საქმე კაცთ-მოყვარეობისთვის და არა ფულისთვის აელოს. უეჭველია, გარეშე პირი, რომელიც წაიკითხავს დავით აბდუშელის პასუხს, იფიქრებს: „აი კაცებიც ესენი ყოფილან და ქუდიც ამათ ხურებიათო.“ უეჭველია, ყოველი ამ პასუხის მკითხველი მიხვდება იმ აზრს, რომ უფალი აბდუშელი და ლოლუა პირველი ადვოკატები ბძანებულან, და ხანდისხან პატარა და გამოუჩენელ ადვოკატებს საქმეებს აძლევენ, მადლის გულისთვის. მე ვთხოვ უფ. აბდუშელს, რომ ძალითა 663 მუხლ. სამოქალაქო საქმეთ წარმ. (Ст. 663 уст. граж. судоп.) მომცეს ნება, რომ მივილო მეც მონაწილეობა ამ საქმეში და მივცე მას შესაბამი პასუხი, რადგანაც აბდუშელმა იცის, რომ ნანეიშვილის საქმეში მეც მაქვს მონაწილეობა და ვარ ნაშრომი არა ნაკლებ ყიფიანისა და აბდუშელისა. პირველათ მე ვკითხავ უფალს აბდუშელს, თუ მართლა იმას ნანეიშვილის საქმე წაკითხული აქვს, შეუძლიან სვინიდისისამებრ სთქვას, რომ ნანეიშვილი და ყვინჭილია არიან გამართლებული, მისის და ყიფიანის შრომით და არა ჩემის? და თუ ამას ვერ იტყვის, რათ ებაასება ყიფიანს, რომ მე ბევრი ვიშრომე ამ საქმეზედაო. რადგანაც არც ერთი პირი მართალს არ ამბობს ამ საქმეში, მე გთხოვ, მკითხველო, მიაქციო ყურადღება შემდეგ ჩემს სიტყვებს. აი როგორ იყო საქმე: ორ ზურულს და ერთ მეგრელს, ესე იგი მიხეილ ნანეიშვილს, თოხაძეს და ყვინჯილიას შესწამეს აზნაური ანთიმოზ შალიკაშვილის სიკვდილი მს საქმე ირჩეოდა ოზურგეთში ადგილობრივ და ტუსაღებმა მამანდვეს მე თავის სიმართლის დაცვა. რომ ეს საქმე ოზურგეთში არ გარჩეულიყო, ჩემთვის უკეთესი იქნებოდა, იმიტომ რომ დიდი და პატარა იმას აგონებდნენ ჩლენებს რომ შალიკაშვილის სიკვდილში არიან მონაწილენი ეს სამნი პირნი, თუმცა ამათგან არ არის პირდაპირ მოკლული. ვისაც ცოტა ოდენი გამოცდილება აქვს საქმისა, უეჭველია დამეთანხმება, რომ ამ გვარ პირების დაცვა და გამართლება თითქმის შეუძლებელი იყო, რამდენი შრომა დამჭირდა ამ საქმეზედ, იმას ანგარიში არა აქვს. ქარკათ ვიშრომე, თუ ავათ, იმას მივანდობ თვით ტუსაღების სვინიდისზედ, მე კი ჩემის მხრით ამას ვიტყვი, რომ ერთი მათთაგანი თოხაძე იქვე ადგილობრივ გავანთავისუფლე, რომელმაც მხოლოდ თავი დამიკრა და მას აქეთ აღარ მინახავს, და ორს ნათეიშვილს და ყვინჭილის კატორგა განუწესეს. მაგრამ მე ეს განჩინება სიცილით მივიღე, რადგანაც სრული დარწმუნებული ვიყავი, რომ დანარჩენებიც გამართლებოდნენ მე დაუწერე ამათ აპელაცია პალატაში, და თუმცა რომლისამე მიზეზისა გამო პალატამ უყურადღებოთ დასტოვა, მაგრამ სენატმა, როდესაც ყიფიანმა კასაცია გადიტანა, უმეტესად ყურადღება ჩემს აპელაციას მიაქცია და მეორეთ რომ პალატამ საქმე განიხილა მათის გამართლების მიზეზი იყო ჩემი აპელაცია. ამაზედ იმედი მაქვს დამეთანხმება უფალი ყიფიანიც. როგორ მოხდა, რომ ეს საქმე აბდუშელს და ლოლუას ჩაუვარდათ, იმასაც მოგახსენებ მკითხველო: ჩვენში ხშირათ იციან, რაგინდ კარგათ იყოს წაყვანილი საქმე, ერთ ადვოკატს არ გაათავებინებენ, და ამ საქმეებშიაც ისე მოხდა, რადგანაც პალატამ დაამტკიცა ოკრუჟნის სუდის განჩინება ტუსაღებმა აღარ მომანდეს კასაციის გაგზავნა, და რადგანაც უფალი ლოლუა თავის ამხანაგით სახელგანთქმული ადვოკატები არიან და ქკუის კოლოფათ ითვლებიან, მიმართეს ამათ და დიდი სასყიდელს დაჰპირდნენ. თუმცა ამათ ამ საქმის არც თავი იცოდნენ, არც ბოლო (რაშიაც თვითონ აბდუშელიც არის გამოტეხილი), მაგრამ მაინც მიიღეს თავის თავზედ ეს საქმე და აი რა ანგარიშით: თუ საქმე წაიგებოდა სენატში იტყოდნენ, რა ვქნათ, თუმანიშვილს საშინლათ საქმე წაუხდენია და აღარაფერი ეშველაო, და თუ მოიგებოდა, უეჭველია მაშინ მთელი ზურია ამას იტყოდა, უჰ რა ადვოკატები არიანო, აი როგორი საქმე დაარღვიესო. პირველ შემთხვევაში ესენი სრულებით არაფერს არ ჰკარგავდნენ და მეორე შემხვევაში დიდ სახელს მოიხვეჭდნენ და ბევრს საქმეს იშოვიდნენ. ახლა, როგორც დაინახავს მკითხველი ამათ უბძანებიათ ყიფიანისათვის კასაცია შენ დაწერეო და საქმეც შენ წაიკითხეო, და უეჭველია ამისთვის რაიმე მცირე საჩუქარს დაჰპირდებოდნენ. მე კი სრული დარწმუნებული ვიყავ, რომ ლოლუას ჰქონდა ეს საქმე და კასაცია მისი დაწერილი მეგონა, ვიდრე ნიკოლოზ ყიფიანმა არ დაბეჭდა წიგნი იქამდინ მე არა ვიცოდირა, ლოლუა ხშირათ მეუბნებოდა, ხედამ რა საქმე დავარღვიე სენატში! მთელმა ზურიამ ისე გაიგო ეს საქმე, რომ ვითომც ლოლუას გაემართლებინოს ესენი სენატში და პალატაში და ამ საქმის შემდეგ ლოლუა და მისი ამხანაგი ცამდის აჰყავდათ. ეხლა საქმით კი გამოდის, რომ ყიფიანს უშრომია კასაციის დაწერაზედ, ესენი ფულს შეჰპირებიან და არაფერი არ მიუციათ; ასე რომ საწყალს ყიფიანს და თუმანიშვილს შერჩა ამ საქმეზედ მარტო შრომა, და სახელი და სახრავი კი ლოლუას და აბდუშელს. უეჭველია, ყიფიანისთვის რომ ამათ შრომის ფასი მიეცათ ის აღარ დაბეჭდიდა ამ წიგნსა, მაგრამ მე ჩემი მხრით არ შემიძლიან არ გავამტყუნო უფალი ყიფიანიც: რათ ეწვის მას გული თავის შრომაზედ და ან რათ თხოულობს თავის შრომისთვის ჯილდოს? განა იმისთვის საკმარისი არ არი, რომ ამისთანა სახელგანთქმულმა ადვოკატებმა თავისი საქმე უწყალობეს და თავისის ყურადღებით გააბედნიერეს? განა ეხლა უარესი არ დეემართება, ეხლა ყველა ხედავს, რომ უფალი აბდუშელი და ლოლუა მას უწყრება, ეხლა რა ეშველება, საქმეს სადღა იშოვის? მე ჩემის მხრით მინდა მხოლოდ ერთი კითხვა მივცე უფალს აბდუშელს: თუ კასსაციის დაწერა არაფრათ არ ღირდა, საქმის გაგებას არაფერი არ უნდოდა და მაშ უფალი აბდუშელი რა საფუძვლით ახდევინებს საწყალს ნანეიშვილს და მის ამხანაგს ამ საქმეზედ სამოც თუმანს? კარგი იყო თუ ავი, ყიფიანმა ხომ დაწერა, ხომ იშრომა? ნეტავი ვიცოდე აბდუშელმა ამ საქმეზედ რა გააკეთა, ან რათ ახდევინებს სამოც თუმანს ამ საქმეზედ. ჰო, ეხლა მივხვდი, ის კი დამავიწყდა უფალი აბდუშელი-შვილი გასჯილა და ერთხელ პროკურორთან მისულა ვექილობის დასამოწმებლათ, რასაკვირველია სამოც თუმანზედ მეტი ერგებოდა! მაშ რაღათ ამბობს, რომ მე ამ საქმეში არაფერი ინტერესი არ მქონდაო; ეტყობა უფალი აბდუშელი-შვილი დიდი გულ მოსული ბძანდება და თავის ფულებით და საქმეებით გაამაყებული, დაცინვით აი რას ამბობს ყიფიანზედა: უფალი ყიფიანი იქცეოდა ჩვენთან (ჩვენთან და არა ჩემთან). როგორც ღარიბი პრიკაშჩიკი მდიდარ მუშტართანაო, წელში იხმანწებოდაო, ცდილობდა ჩვენთვის თავი მოეწონებინაო და ჩვენ (და არა მე) ამის მიზეზით საქმე უწყალობეთო. ამ გვარი სიამაყე უფალი აბდუშელიშვილისაგან სწორეთ საზარელი და საზიზღარი არის, უმეტესათ იმ შემთხვევაში, როდესაც უფალი აბდუშელი ლოლუასთან იმისთანა უფეროულს როლს თამაშობს, რომ მცირე პრიკაშჩიკსაც არ ეკადრება, მაშ რიღათია დიდ გულაო? აბდუშელი ყველგან თავის პასუხში ამ სიტყვებს ხმარობს: ჩვენ მივანდეთ ჩვენ ბევრი საქმეები გვაქვს, ჩვენ მდიდრები ვართ, ჩვენ თავს გვაწონებდა. ამ სიტყვებით თავის თავი იმისთანა უფეროულ საგნათ გამოჰყავს, რომ სწორეთ შესაბრალებელია. რას ნიშნავს სიტყვა „ჩვენი“? მკითხველი მიხვდება უეჭველია, რომ ეს სიტყვები ნიშნავს, მე და ლოლუაო, იმედია მკითხველი მიხვდება, რომ საწყალი აბდუშელი, ლოლუას ისე დაუჩაგრავს ისე დაუჩრდილავს, რომ ლიტერატურაშიაც თავის სახელით ვერ ბედავს პასუხის მიცემას, და მართლათაც, კაცი რომ დააკვირდეს ამათ ამხანაგობას საშინელი საქმე ემართება აბდუშელს, თუმცა ყველამ ვიცით, რომ აბდუშელი ლოლუაზედ მეტს შრომობს, მაზედ მეტს ტანტალებს, მაზედ უკეთ სწერს, უკეთ საქმეს სჩხრეკს, მაინც ხალხს ვერაგზით ვერ დააჯერებ რომ სულ ლოლუა არ აკეთებდეს საქმეებს. თუ აბდუშელმა მოიგო საქმე, მაშინვე ამას ამბობენ, ლოლუას ჰქონდა ეს საქმე და მან მოიგოვო და თუ აბდუშელმა წააგო საქმე, ამას ამბობენ ლოლუას ხომ არ წაუგია აბდუშელმა წააგოვო, და ამ გვათ ლოლუა თავის დღეში საქმეს არ აგებს და რასაკვირველია ყოველთვის პირველი ადვოკატი იქნება: ამშემთხვევით ხალხი ისე შეეჩვია, რომ ხშირათ საქმეს ლოლუა დაიწყებს ხოლმე და დაბოლოებისას აბდუშელი მოდის სუდში, მაშინვე ხალხი ამბობს ლოლუა არ არისო? მაშ საქმე უეჭველათ წაიგებაო. მე ურჩევ უფალს აბდუშელს სხვის დაცინვას თავის-თავის მდგომარეობას დააკვირდეს და დაფიქრდეს, როდემდის ამისთანა ნიჭიერმა კაცმა, როგორც აბდუშელი, ამისთანა უფეროული როლი უნდა ითამაშოს საზოგადო ცხოვრებაში?

დიმიტრი თუმანიშვილი.

---

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი.

ლეგიტიმისტის დეპუტატს ლაროშჟუკოს მოუთხოვია ნაციონალური კრებისთვის მონარხიის აღდგენა. პალატას ხმის უმრავლესობით უარი უყვია ამ წინადადებაზედ. გაზეთები სწერენ: „ჩვენს კვერთხისა და გვირგვინის დამცველებს ფონი სამუდამოთ გაუფუჭდათო.“

---

მონარხიელების სურვილი, რომ კენჭი არ მიეცეს, ვინც ოცდა ხუთი წლის ნაკლები არის, რომ მთელი ახალგაზდობა გამოერიცხონ საქვეყნო საქმეების მონაწილეობისაგან დარჩენილა „ხმათ ღაღადებისა უდაბნოსა შინა.“ ამ საგანზედ ულაპარაკნია პალატის საუკეთესო ორატორებს: ლედრიუ როლლენს, ლუი-ბლანს, გამბეტას და სხ.

---

სახელ განთქმული მეორე რესპუბლიკის მინისტრი ლედრიუ როლლენი აგერ ოცდა ხუთი წელიწადია აღარ გამოსულა პოლიტიკურ ასპარეზზედ. ყველა დიდის მოუთმენელობით მოელოდა თურმე „ძველი ტრიბუნის“ სიტყვას, უნდოდათ შეეტყოთ მტერსაც და მოყვარესაც ლედრიუ როლლენი ისევ ის მჭევრ-მეტყველი და ძლიერი არგუმენტაციის ორატორი იყო ეხლა, თუ გამოცვლილა. მაგრამ რამდენიმე სიტყვის შემდეგ, ლედრიუ როლლენმა ერთბაშათ აღიტაცა მოყვრები და მონარხიული დეპუტატები კი შეწმაწურდენ თავ-თავის სკამებზედ.

---

„თქვენ აქ ხალხისსურვილითზიხართ მაგრამ ის ნება კი არა გაქვსთ, რომ კენჭის ყრის კანონი საჯოთ. თქვენ შეგიძლიათ თქვენი უფლება მოიხმაროთ, მაგრამ ამ უფლებასა, არც სხვისთვის გადაცემა არც გადასხვაფერება არ შეგიძლიანთ.“ შემდეგ ორატორმა ისტორიული მაგალითები მოიყვანა იმისა თუ რა უბედური ბოლო მოყვება, როდესაც ხალხის წარმომადგენლები ბოროტად ხმარობენ თავის თანამდებობას. საზოგადოთ, ლედრიუ როლლენს ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია თავის სიტყვით. მონარხიელებს პირი შეეთქვათ და ოთხმოცდა რვაჯერ გააწყვეტინეს თურმე ლაპარაკი, რომ გაეჯავრებიათ, ან დაებნიათ, მაგრამ ეს მეცადინეობა ამაოთ დარჩენილა. ლედრიუ როლლენი თითოეულს იმათგანს გესლიან და მოსწრებულ პასუხს აძლევდა.

---

მოხუცებული ტრიბუნი ბებერს ლომსა გავდაო, რომელიც ბუზების ფრენისთვის ყურს არ აიძრევდაო, იწერებიან პარიჟიდგან.

---

ლუი ბლანმა, ავიდა თუ არა სალაპარაკოთ, ერთბაშათ გადაუმტვრია იარაღი მონარხიელებს. მე გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რაც უნდა ბევრი იყვიროთ და გამაწყვეტინოთ სიტყვა, ჩემგან მაგიერს არ ეღირსებით. მაგრამ ხუთჯერ მაინც შეებენ პირში ბონაპარტელები. „ეხლანდელი კრება ისეთ მდგომარეობას იმზადებს, ამბობს შესანიშნავი ისტორიკოსი, როგორც მეორე რესპუბლიკის პალატა. მან შეავიწროვა ხალხის თავისუფლება და ამისთვის, როდესაც მაშინდელი დეპუტატები გამოხვეწეს კრებიდგან, ხალხი სრული უმონაწილოდ დარჩა, ის გულგრილათ უმზერდა და არ ეწინააღმდეგა ამ გვარ ნაპოლეონის გაუტანლობას. ან კი რა კეთილი ახსოვდა იმას თავის წარმომადგენლებისგან, რომ წინანდელი სისხლი დაენთხია ბულვარზედ. ეხლანდელი კანონი სასარგებლოა იმპერიისთვის, რომლის აღდგენა უსაზარლესი სირცხვილი იქნებოდა ჩვენთვის.“ „და ნახავთ, რომ იმპერია აღსდგება!“ უყვირის ორატორს ერთი ბონაპარტისტი.

---

არა, არ იქნება! ვფიცავ იმ პატივის ცემას, რომელიც ჩემი სამშობლოსადმი არის ჩემს გულში, იმპერია კვლავ ველარ აღდგება“! (მარცხენა მხარეზე გახარებულიტაშის ცემა შეიქნება) „სასაცილოა როგორ არ არის, რომ 24 წლის განათლებული ყმაწვილი კაცი ვერ მიიღებს კენჭს, მაშინ როდესაც მის სახლის მცველს კი, რომელსაც შესრულებია 25 წელი, ეძლევა ეს უფლება?“ ლუი ბლანი თხოულობდა, რომ ჯარსაც ექნეს კენჭი. „თქვენ ართმევთ ხალხს კენჭს, ამითი სპობთ მის საქვეყნო საქმეების მართვას, მაგრამ იცით კი ეს, რომ მდიდარიცა და ღარიბიც თანასწორათ ელტვის ბედნიერებას, თანასწორი უფლება აქვს თავის ბედის გაწყობისა? თქვენ ეუბნებით გამომრჩეველებს-რომლის წყალობითაც ბრძანდებით ამ პალატაში: თქვენ ვინა ხართო? უფრთხილდით, რომ იმათაც ამისთანა პასუხი არ მოგცენ: თქვენ კი თითონ ვილა ბრძანდებითო?!...

---

შემდეგ საოცარის ირონით დაუწყო გამბეტამ მინისტრებს გამტყუნება, რომ ისინი ბოროტათ ხმარობენ თავის უფლებას. სამხედრო და ფინანსის მინისტრი ბონაპარტის ქომაგებია და თითონ ბონაპარტისტები კი ავაზაკები“. ბევრი მათრახი და გესლიანი სიტყვები ერგო თურმე ბატბისაც, რომელიც წინეთ სოციალისტი იყო და ეხლა კი გამონარხიელებულა.“

---

მარცხენა მხარეს შეუტანია წინადადება რომ რესპუბლიკური მართებლობა საეჭოთ აღარ უნდა იყოს, და ამაზედ კენჭის ყრა მომხდარა. უმრავლესობას ძალა-უნებურად რესპუბლიკური გრძნობა განუცხადებია.

---

ერთ ბონაპარტელს გამბეტას შემოკვრა ნდომებია, მაგრამ იმ წამსვე გაუქაჩავთ და დამნაშავისთვის ექვსი თვის საპყრობილე გადაუწყვეტიათ.

---

ყოველის მხრით ისმის, რომ ნაციონალური კრება უთუოდ უნდა დაიშალოს. რაც შევიწროებული კენჭის ყრა მოხდეს, ცხადია უმრავლესობა მაინც რესპუბლიკელები იქნებიან.

---

## პარიჟელი ქალი

ღმერთო მომეც ნ. ბარათაშვილის გრძობა, ვოლტერის სიმახვილე და შოთა რუსთველის კალმის სიმსუბუქე! სამუდამოთ ვერ გავბედავ და ერთი საათის ვადით მაინც რომ მომანიჭებდე ამ სამი კაცის სამს თვისებას, სწორეთ დიდ მადლობას შემოგწირავ, უფალო!

არასოდეს არ დამჭირვებია ისე ეს თვისება, როგორც ეხლა, როდესაც პარიჟელ ქალზე უნდა ვილაპარაკო.

გრძნობა, სიმახვილე და სიმსუბუქე—სამივე აუცილებლად საჭიროა იმისთვის, ვინც პარიჟელ ქალზე იტყვის რასმე, ვინც ამ მგრძნობიარე, მახვილ და მსუბუქ ქმნილებას შეეხება.

ეხლა მოისმინეთ „მოთხრობა“ ჩემი და თუ არ მოგეწონოსთ, ნუ დამემდურებით.

×

ერთმა სიფაქიზის მოყვარულმა მეცნიერმა სთქვა, რომ „რამდენათაც რომელსამე ქვეყანაში უფრო მომეტებული საპონი იხარჯება, იმდენათ ეს ქვეყანა უფრო განათლებული და წარმატებული არისო.“ მეორე ქალების განთავისუფლების მომხრე მეცნი-

ერმა, ზემოხსენებულის წახედვით, სთქვა: რამდენათაც რომელსამე ქვეყანაში ქალი უფრო თავისუფალია, უფრო დამოუკიდებელია კაცისაგან, იმდენათ ეს ქვეყანა უფრო წარმატებული და განათლებული არისო?

ჩვენ რომ ამ ზომით მოვინდომოთ ხალხების განათლებისა და წარმატების აწონვა, გამოვა, რომ ზოგიერთი ბარბაროსული ქვეყნები, სადაც ქალებისა და კაცების მოვალეობასა და უფლებებს შუა თითქმის არავითარი განსხვავება არ არის, ბევრათ უფრო დაწინაურებულნი ყოფილან, ვიდრემ საფრანგეთი.

ევროპაში არსად არ ფიქრობენ, არსად არ წერენ ისე ცხრედ-წოდებულს ქალების ემანციპაციაზე, როგორც საფრანგეთში. ამერიკაში, ინგლისში, გერმანიაში, შვეიცარიაში, თითქმის რუსეთშიაც, უფრო მომეტებულს ლაპარაკობენ, უფრო ბევრს სწერენ და მოქმედებენ ამ საგნის თაობაზე, ვიდრე აქ.

×

ამ ორი წლის წინათ აქ ერთი „საქალებო გაზეთი“ გამოდიოდა, რომელსაც განსაკუთრებული განზრახვა ჰქონდა, რომ საზოგადოებაში გაევრცელებინა და აღეძრა ქალებისათვის სხვა და სხვა უფლების მინიჭების სურვილი. მგონი, ერთ წელიწადს არ უცხოვრია ამ გაზეთს: თანამგრძნობლები ვერ მოიპოვა და მიიცვალა. „ქალების ლიტერატურა“ აქაც მდიდარია, იმათი სასარგებლო წიგნები აქაც იწერება და ითარგმნება; მაგრამ იმ აზრების განცხოველებას, სისრულეში მოყვანას, აქ ჯერ-ჯერობით თითქმის არავინ არ ფიქრობს. ქალების საზოგადოებები, წრე აქ თითქმის სულ არ არის. ამას წინათ ერთ გაზეთში იყო გამოცხადებული სურვილი, რომ ურიგო არ იქნებაო, მუშა-ქალებმაც ისეთი საზოგადოებები შეადგინონ, როგორიც მუშა-კაცებს აქვთო; ეს სურვილი ჯერ-ჯერობით მხოლოთ სურვილად დარჩა.

პოლიტიკურ უფლებების მინიჭებაზე ხმის ამოღებასაც ვერავინ ვერ ბედავს. საფრანგეთის პარლამენტებში, მგონი, ამ საგანზე არასოდეს არ ყოფილა ლაპარაკი. ბუშინ ვერსალის ნაციონალურ კრებაში ხმის უფლებაზე იყო ლაპარაკი და როდესაც ერთმა დეპუტატმა თქვა, რომ „იქნება შემდეგში მარცხენა მხრის დეპუტატებმა კრებაში წინადადება შეიტანონ, რომ ქალებსაც მიეცესთ კენჭის უფლებაო“,—მთელმა პალატამ სიცილი და ხარხარი შექნა. არა თუ უკბილო ბებრებისაგან შემდგარი ეხლანდელი ვერსალის კრება, თვით დაწინაურებული უკიდურესი რესპუბლიკელები ამნაირი აზრისა არიან ქალებზე. „რაპპელმა“ ამას წინათ ლექსით გამოთქვა თავის აზრი ქალებზე. საუბედუროთ, აღარ მახსოვს ეს ლექსი, მაგრამ აზრი კი ის იყო, რომ „ბუნებას ქალებისთვის ჩვენი (ე. ი. კაცების) დაბრმავებისა და ალტაცების ნიჭი მიუციაო, მეტი რა უნდათო!“

×

ვერც ერთი ქალი ვერ ამართლებს ამ უკანასკნელი სიტყვების სინამდვილეს, ისე როგორც პარიჟელი; და მეორეს მხრით, არც ერთ ქალს არა აქვს დედა-მიწაზე იმდენი მართლა „კაცების ალმტაცი და დამაბრმავებელი“ თვისება, როგორც პარიჟელს.

ის არც ამერიკელსავით ჭკვიანია, არც იტალიელსავით ან ესპანიელსავით გრძნობით აღელვებული, არც ქართველსავით ლამაზი. მის ნაცვლად პარიჟელ ქალს აქვს ისეთი თვისება, რომელიც ყველა სულდგმულის დამამშვენებელია საზოგადოთ და განსაკუთრებით ქალებისა, და რომელიც, როგორც ამბობენ, ქალსდედამიწის მარილად, უზენაეს და დამამშვენებელ არსებად ხდის: პარიჟელ ქალს აქვს შნო, ლაზათი, სანდომიანობა, ჩვენში რომ იტყვიან.

ბუნებისა და ისტორიულ ცხოვრებას ის ცოცხალ, მახვილ, გამჭრიახე არსებად შეუქნია. ღრმა ჭკუის მაგივრად, იმას აქვს გამჭრიახე, მსწრაფლად მიმხვედრი გონება; ღრმა გრძნობის მაგივრად—სიყვარულის სიცხოველე; სიმშვენიერის ნაცვლად—გრაცია, ლაზათი. პარიჟელი ქალის ერთი სიმახვილე ინგლისელის ათს ჭკვიანურ აზრს მირჩევნია; იმის ერთი წლის სიყვარული გერმანიელი ქალის ოცი წლის ღრმა გრძნობასა და აშიყულ ოხვრას სჯობია; იმის გრაციული, ლაზათიანი მიხვრა-მოხვრა—ორმოცჯერ უფრო მალე მოიყვანს კაცს ალტაცებაში, ვიდრე ქართველი ქალის მხატვრული სილამაზე. იმის წაბლის ფერ მხტუნავ თვალებში სიცოცხლეა გამოხატული; იმის მოძრავ პატარა ტუჩებში გამბედაობა, ხანდისხან მომეტებული გამბედაობა და სიმახვილე; მთელი მის პირის სახე გამომეტყველება არის.

×

თუმცა ეს ასეა, თუმცა საზოგადო თვისება საფრანგეთის და პარიჟელი ქალისა სიმსუბუქეა, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ აქ სხვა ქვეყნებზე უფრო ნაკლები გამოჩენილი ქალები იყვნენ ან ლიტერატურაში, ან პოლიტიკურ ცხოვრებაში ან სხვა რომელსამე წრეში. შორს რომ არ წავიდეთ, გაიხსენეთ: მადამ სევინნი, როლლანი, სტალი, ჟორჟ-ზანდი და სხვა, თუ ლიტერატურაში და თუ საზოგადო ცხოვრებაში გამოჩენილი ქალები. გაიხსენეთ ჩინებული ტიპი მამულის მოყვარული ქალისა—ჟანნა დ' არკი. მოიგონეთ ის უანგარო კეთილშობილური გრძნობითა და სიყვარულით ანთებული ქალები, რომელთაც ასეთი მონაწილეობა მიიღეს ამ უკანასკნელ დროს გერმანიასთან ბრძოლის დროს და კომმუნის დროს.

×

დიახ, ამ ერთის შეხედვით მსუბუქ, თავქარიან და მაჩალტე ყოფაქცევიან პარიჟელ ქალში, როცა გარემოება მოითხოვს, როცა საჭიროა, ოცჯერ უფრო მომეტებული თავგანწირულება, მაღალი გრძნობა, კეთილშობილური განზრახვები და ღრმა სიყვარული იხატება და ჩნდება, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყნის ქალში, რომელიც დილიდამ საღამოდინ მუდამ ღრმა გრძნობაზე, სიკვდილამდე სიყვარულზე, ქალის მოვალეობაზე და სხვა და სხვა ამ გვარ საგნებზე ლამაზათ ჭიკჭიკობს და გულ გასახეთქათ ოხრავს.

×

ეხლა ხან მიცვალებულ სტატისტიკოსმა კეტლემ შეადგინა ფიზიკური ტიპი „საშუალო კაცისა.“ ამ გვარათვე მორალური, ზნეობითი ადამიანის ტიპის შედგენა რომ შეიძლებოდეს, მე ვიტყოდი, რომ პარიჟელი ქალი ზნეობითი ტიპია, მეთქი, იმ ქალისა, რომელსაც „საშუალო ქალი“ უნდა ეწოდებოდეს, რადგანაც ყველა ქალის ნაკლულევანება და ღირსება ამაშია თითქო მოგროვებული. ის ტიპია იმ განყენებითი წარმოდგინების—ქალისა—, რომელსაც ჩვენ მიმზიდველ, მსუბუქ, შნოიან, საყვარელ და ნაზ არსებად წარმოგვიდგება ხოლმე გონებაში.

ს. მესხი.

პარიჟი, 3 ივნისს 1874 წ.

---

# ნარევი

— ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზედ უფრო დიდი სიმდიდრის პატრონი უფ. ჯონესი ყოფილა, რომელსაც წელიწადში რვა მილლიონი მანეთი შემოსავალი აქვს თურმე.

— საფრანგეთისა და ინგლისის მოჭადრაკეები ერთ საკვირველს თამაშს აპირებენ თურმე. მოთამაშენი ყოველ გამოსვლას ტელეგრაფით შეატყობინებენ ერთმანერთს. თითოეული გამოსვლისათვის სამი დღის ვადა არის დანიშნული. წამგებელმა მხარემ გამარჯვებულს ასი ათასი ფრანკი უნდა მისცეს

— ხონთქრის ჰარამში მოსამსახურებიანათ ოთხი ათასი სული ქალი და კაცი არის თურმე. დღეში ამათ სამას სამოცი ცხვარი უნდებათ. რა ხაზინა გაუძლებს ამისთანა ხარჯ!

— „ბირჟის უწყებები“ ამბობენ: ვინ იფიქრებდა თუ თ. ბისმარკი და ემილიო კასტელარი შთამომავლობით ურიები იყვნენ. ეს ამბავი გამოუშკარებია, ერთ ლორდს, რომელსაც უთქვამს, რომ ურიები ქვეყნის მმართველობას თან და თან ხელში იბოჭვენო: ინგლისში დიზრაელი მეფობს, გერმანიაში—თ. ბისმარკი და ესპანიაში—კასტელარიო. ეს ასე უთქვამს, მაგრამ ამ ამბვის დამამტკიცებელი საბუთები კი არ მოუყვანია იმ დალოცვილს.

— ამერიკაში ასტრონომოსები ერთი ვეება ტელესკოპის, დურბინდის, გაკეთებას აპირებენ. ეს დურბინდი მილლიონ ნახევარ მანეთად ჯდება თურმე. უნდა დასდგან თითქმის სამი ვერსტის სიმაღლე მთაზედ. დურბინდის ბოლოზედ ჩასმული მინა გარდიგარდმო ოთხი მეტრი ანუ ხუთ ალაბზედ მეტი იქნებაო. ვარსკვლავებს ოცდა რვა ათასჯერ უფრო დიდად აჩვენებს ეს დურბინდი. აქამდის ექვსი ათასჯერ გამადიდებელი დურბინდი თუ ყოფილა, თორემ მეტი არა. ეხლა რომ აკეთებენ იმ დურბინდით კაცი პაწაწა ვარსკვლავს ასი მთვარის ოდნათ დაინახავს თურმე.

— ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატების დეპუტატთ-კრებას შეუდგენია გადაწყვეტილება, რომ ხალხებს შუა უკმაყოფილების მოსასპობელად უთუოდ მედიატორური მსაჯულება უნდა დაწესდესო.

---

განცხადება

## თფილისის სავაჭრო ბანკისა

თფილისის სავაჭრო ბანკის სამმართველო აცხადებს საყოველთაო საცნობად, რომ ბანკი 11 იანვრიდგან 1874 წ., ცვლილების მოხდენამდის, ასის თავზედ შემდეგის ზომით იღებს და იხდის სარგებელს:

### იღებს

(1 სესხზედ იმ სარგებლიან ქაღალდებში,

ა.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში იღებენ:

სამი თვით . . . . . . . . 6 %

ექვსი თვით . . . . . . . . 7 %

ბ.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში არ იღებენ:

სამი თვით . . . . . . . . $7\frac{1}{2}$ %

ექვსი თვით . . . . . . . . 8 %

2.) სპეციალურს ხელად მიბარებულ ფულში.

სარგებლიანი ქაღალდებით და ვექსილებით უზრუნველ-ყოფილს . . . . . . . . . 7 %

3.) ვექსილების დაცვლაში:

სამი თვით . . . . . . . . 8 %

ცხრა თვით . . . . . . . . $8\frac{1}{2}$ %

4.) საქონლის გირაოში:

რომელიც მოტანილია . . . . . . 9 %

რომელიც გზაშია . . . . . . . 10 %

### იხდის

1.) ხელად მიბარებულ ფულში . . . 5 %

2.) შესანახად მიბარებულში

ა.) მოთხოვნამდის . . . . . . . 5 %

ბ.) ექვსი თვით. . . . . . . . 5 %

გ.) ერთი წლით . . . . . . . 6 %

დ.) წელიწადზე მეტის ვადით მიბარებულში— სამმართველოსთან მორიგებით.

სამთავროდ შესანახი ფული მიიღება: ყველა კერძობითი პირისაგან, მოვაჭრე საზოგადოებათაგან და კამპანიებისაგან, ეკკლესიებისა და მონასტრებისაგან, სახაზინო და საზოგადობრივს დაწესებულებათაგან,— ას მანეთზედ არა ნაკლები.

ბანკში შენახული ფულების ბილეთები, ფინანსთ-მინისტრის განკარგულების თანახმად, ყველა სასამართლოებში და სახაზინო სამმართველოებში იჯარისა და შეკრულობის გირაოდ მიიღებიან: უვადო და ექვს თვემდის ვადიანი—მანეთი მანეთად და ერთის წლის და მეტის ხნით ვადიანი—ცოტა ნაკლებათ. ფოჩტით გამოგზავნილს შესანახს ფულს შემდეგი განცხადება უნდა მოჰყვეს:

---

## ВЪ ТИФЛИССКІЙ КОМЕРЧЕСКІЙ БАНКЪ

От такого-то

### ОБЪЯВЛЕНІЕ

Препровождая при семъ столько то рублей, прошу принять эту сумму на вкладъ для обращенія изъ процентовъ на такой то срокъ (или до востребованія, или на такихъ то условіяхъ) и выслать билетъ на мое имя или на имя токого то, или на предъявителя,) по такому то адресу.

Число, мѣсяцъ и годъ. Подпись и мѣстожительство.

---

ორის თვის ანგარიში.

## ოძისის გამსესხებელ—შემნახველის ამხანაგობისა

ესე იგი 1874 წლის 21 მარტიდამ 21-ს მაისამდის

ამხანაგობაში ირიცხება წევრად ას სამოცდა სამი კაცი.

### ა.) შემოსავალი

| | | |
|---|---|---|
| 1.) | წევრთაგან შემოტანილი ს წლიო ფული . . . . . . . . | 994 მ. 20 კ. |
| 2.) | სესხი, მიღებული ამხანაგობისაგან დამფუძნებელთაგან . . . | 1500 მ. |
| 3.) | სარგებელი, აღებული გასესხებული ფულისაგან . . . . . | 68 მ. 10 კ. |
| 4 ) | სავაჭრო ბანკში შეტანილის ფულის სარგებელი . . . . . . . | 8 მ. 40 კ. |
| | სულ შემოსულა | 2,570 მ. 70 კ. |

### ბ.) გასავალი

| | | |
|---|---|---|
| 1.) | გასესხებულა . . . . . . | 1135 მ. |
| 2.) | დახარჯულა გამგეობის გასამართავად . . . . . . . . | 160 მ. |
| | სულ გასულა | 1,295 მ. |

### გ.) კასსა.

| | | |
|---|---|---|
| 1.) | ფული არის სავაჭრო ბანკში სასარგებლით . . . . . . | 8,07 მ. 60 კ. |
| 2 ) | ამ ფულს ერგება სარგებელი ბანკიდამ . . . . . . . . | 8 მ. 40 კ. |
| 3.) | ნაღდი ფული არის კასსაში . . | 459 მ. 70 კ. |
| | სულ | 1,275 მ. 70 კ. |
| | გასავალი არის | 1,295 მ. |
| | ერთიანი ჯამი | 2,570 მ. 70 კ. |

გამგეები აზ. მიხეილ ქადაგოვი.
გრიგოლ ოსეფოვი.

ს. ოძისი 22-ს მაისს 1874 წელსა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Іюня 1874 г. მელიქიშვილის და ამხ. სტამბა გამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი.—დროებითი რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე.